EaP | Eastern Partnership

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის საშუალო განათლების 2019-2020 წწ. სასტიპენდიო პროგრამა

საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IB) დიპლომი
სადიპლომო პროგრამა ევროპათმცოდნეობის
განხრით „ახალ სკოლაში" თბილისი, საქართველო

მოსწავლეების განაცხადები მიიღება
აზერბაიჯანიდან · ბელორუსიდან · მოლდოვის რესპუბლიკიდან
საქართველოდან · სომხეთიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა:
2019 წლის 1 მარტი, 12:00 სთ საქართველოს დროით
(შუადღე, UTC+4.00)

Supported by the European Union

New School
International School of Georgia

UNOPS
Implementing partner

16-17
წლები

35
სტიპენდია

6
ქვეყანა
აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა

2018/2019 აკადემიურ წელს მოსწავლეებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის პირველი სასტიპენდიო პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად „ახალი სკოლა", ევროკავშირისა (EU) და საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IB) მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს 2019/2020 სასწავლო წელს მოსწავლეთა მეორე ნაკადის მისაღებად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 16-17 წლის მოსწავლეებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან: აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან. ტესტირების შედეგების მიხედვით შეირჩევა საუკეთესო ოცდათხუტმეტი მოსწავლე. სკოლის დამთავრებისას გაიცემა საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი ევროპათმცოდნეობის განხრით.

* მოგვიანებით მოიხსენიება მოლდოვა

1 სადიპლომო პროგრამა

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამა წარმოადგენს სწავლების ორწლიან კურსს სადაც შერწყმულია საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) სტანდარტული მოთხოვნები და ევროპათმცოდნეობის საკითხების შესწავლის უნიკალური შესაძლებლობა.

ევროპული სკოლების გენერალური სამდივნოს მხარდაჭერით, სასწავლო კურსები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ენებსა და ლიტერატურაში, ხელოვნებასა და ისტორიაში თანხვედრაშია მოყვანილი ევროპულ ბაკალავრიატის (EB) პროგრამებთან და შევსებულია ევროპათმცოდნეობის საკითხებით.

ესეებზე მუშაობისას, აგრეთვე სხვადასხვა სასწავლო აქტივობების ფარგლებში მოსწავლეებს ექნებათ საშუალება ჩაუღრმავდნენ ევროპათმცოდნეობის საკითხებს.

„ახალ სკოლაში" კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობისას მოსწავლეებს ექნებათ საშუალება დაესწრონ კონფერენციებს და ღონისძიებებს ევროკავშირის ოფიციალური პირების მონაწილეობით. ასევე შესაძლოა მოეწყოს სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის დაწესებულებებში ევროპისა და ევროპელების შესახებ ცოდნის გაღრმავების მიზნით.

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამა ხორციელდება „ახალ სკოლაში", თბილისში. „ახალი სკოლა" 2010 წლიდან ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის მიერ და წარმოადგენს ევროკავშირის პარტნიორ სკოლას საქართველოში.

2 სასტიპენდიო პაკეტი

სასტიპენდიო პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

სტიპენდია ფარავს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის სრულ ორწლიან კურსს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეების ცხოვრებას საერთო საცხოვრებელში.

მოსწავლეებს სტიპენდია მიენიჭებათ პირველ აკადემიურ წელს და ავტომატურად გაუგრძელდებათ მეორე აკადემიურ წელს. პირველი სასწავლო წლის წარმატებით დახურვის შემთხვევაში სტიპენდია გაგრძელდება მეორე სასწავლო წელს და ამისთვის დამატებითი განაცხადის შემოტანა საჭირო არ იქნება.

სტიპენდია მოიცავს:

- 2019/2020 წლებში, „ახალ სკოლაში," საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაზე სწავლის სასწავლო გადასახადს.
- თბილისში, მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში განთავსებისა და კვების ხარჯებს.
- მოსწავლეები იცხოვრებენ საერთო საცხოვრებელში, რაც შეესაბამება „ახალ სკოლაში" არსებულ მაღალ სტანდარტებს და უსაფრთხოების წესებს.
- სამგზავრო ხარჯებს ორივე მიმართულებით: თბილისსა და მოსწავლის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს შორის, ორი წლის მანძილზე სასკოლო არდადეგების დროს.
- მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობას საქართველოს ბანკის პირად სადებეტო ბარათის მეშვეობით.
- მოსწავლეებისათვის საჭირო სასწავლო რესურსებს (წიგნებს, ლეპტოპებს, კალკულატორებს და სმარტფონებს).
- მონაწილეობას ევროკაშირის მიერ დაფინანსებულ სემინარებში, კონფერენციებში, სასწავლო ტურებში და სხვა ღონისძიებებში;
- სამედიცინო დაზღვევას, სტომატოლოგიური მომსახურების ჩათვლით.

სტიპენდია არ მოიცავს:

- ფულადი საშუალებების პირდაპირ გადარიცხვას, მოსწავლეებისთვის და მათი მშობლებისთვის ნაღდი ფულის გაცემას;
- მოსწავლეთა ოჯახის წევრების შიდა ან საერთაშორისო მოგზაურობას;
- მოსწავლეების პირადი ხარჯების დაფარვას, მაგ. ტანსაცმელი, საკვები სკოლის კამპუსის გარეთ, მობილური ტელეფონები და პერსონალური კომპიუტერები, გარდა იმ კომპიუტერებისა, ლეპტოპების და მობილურებისა რომლებიც მოსწავლეებისათვის გადაცემულ იქნება სადიპლომო პროგრამის პროექტის ფარგლებში.

3 ვის შეუძლია შეიტანოს განაცხადი

სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიღება ხდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საფუძველზე და უფასოა იმ აპლიკანტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

უფლებამოსილი აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. იყოს აზერბაიჯანის, ბელორუსის, მოლდავეთის რესპუბლიკის, საქართველოს, სომხეთის ან უკრაინის მოქალაქე და შეეძლოს საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების მიღება საქართველოში გასამგზავრებლად;
2. ცხოვრობდეს აზერბაიჯანში, ბელორუსში, მოლდავეთის რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთში ან უკრაინაში განაცხადის შეტანის დროს;
3. აკმაყოფილებდეს თავის ქვეყნისთვის განსაზღვრული შეფასების/ასაკის მოთხოვნებს, როგორც ეს ქვემოთაა განსაზღვრული:
4. იყოს საშუალო სკოლის მოსწავლე ზემოთ მითითებული ექვსი ქვეყნიდან ერთ-ერთში განაცხადის გაკეთების დროს;
5. წინა და მიმდინარე წელს მისი GPA საშუალო სკოლაში სწავლის პროცესში უნდა იყოს არა ნაკლები 70% -სა;
6. ფლობდეს ინგლისურ ენას (მინიმუმ B2 დონე);
7. **ევროკავშირის** რომელიმე სხვა ენის ცოდნა მიიჩნევა უპირატესობად;

აზერბაიჯანი
16-17 ასაკი * | 9-10 შეფასება * *

ბელარუსი
16-17 ასაკი * | 10 შეფასება * *

მოლდოვის რესპუბლიკა
16-17 ასაკი * | 9-10 შეფასება * *

საქართველო
16-17 ასაკი * | 10 შეფასება * *

სომხეთი
16-17 ასაკი * | 9-10 შეფასება * *

უკრაინა
16-17 ასაკი * | 9-10 შეფასება * *

* ასაკი 2019 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

* * განაცხადის წარმოდგენის დროს

შენიშვნა: ის მოსწავლეები, რომელთაც უწევთ სამხედრო სამსახურის გავლა არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ მონაწილეობა კონკურსში.

4 შერჩევისა და მიღების პროცედურა

პროგრამაში მონაწილეთა შერჩევითი პროცესის ფარგლებში ყველა აპლიკაცია თანაბრად იქნება განხილული.

შერჩევითი პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

განაცხადების შეტანა	წერილობითი ტესტები	გასაუბრება
2019 წლის 1 მარტამდე	2019 წლის მარტი	2019 წლის აპრილი

კვალიფიცირებული კომისია წარმართავს შერჩევით პროცესს, გამოიყენებს ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების მეთოდებს. კომისიის გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

აპლიკაციების შეტანა

აპლიკაციების შეტანის საბოლოო ვადაა 2019 წლის **1 მარტი, 12:00 საათი საქართველოს დროით (შუადღე, UCT+4.00).**

კანდიდატებს მოეთხოვებათ ონლაინ აპლიკანტის პროფილის შექმნა „ახალი სკოლის" ვებ-გვერდზე (www.eapeuropeanschool.eu) აპლიკაციების შესატანად.

ნებისმიერი დაგვიანებული ან არასრულად წარმოდგენილი აპლიკაცია არ მიიღება. სრულყოფილი ფაილის წარმატებით შეტანის შემდეგ, აპლიკანტები მიიღებენ ავტომატურ ელექტრონულ წერილს.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ტესტირებას.

წერილობითი ტესტები მათემატიკასა და ინგლისურში

ჩატარდება ორი წერილობითი ტესტი: მათემატიკაში და ინგლისურ ენაში. ყველა ტესტი ჩატარდება ინგლისურ ენაზე. წერილობითი ტესტები ჩატარდება კანდიდატების მშობლიურ ქვეყნებში.

მათემატიკის ტესტი:

კომპეტენციის მინიმალური დონე 40% (ამასთან,იმ მოსწავლეებს, რომლებიც მიიღებენ უმაღლეს ქულებს უპირატესობა ექნებათ იმ მოსწავლეებთან, რომლებიც მიიღებენ პროცენტულად დაბალ შეფასებას).

მათემატიკის ტესტის თემებია: რიცხვები, სიმრავლეები და რიცხვები, ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, კოორდინატთა გეომეტრია, სტატისტიკა და ალბათობა (დეტალები ხელმისაწვდომია მოთხოვნისამებრ).

ინგლისური ენის გამოცდა:

ტესტი შედგება ორი ნაწილისგან. კითხვის ნაწილში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს.

წერით ნაწილში,მოსწავლეებს მოეთხოვებათ აღწერონ (150-250 სიტყვა) რეალური ან წარმოსახვითი მოვლენა (თემატიკის არჩევანი ფართოა და მოიცავს კულტურას, ჯანმრთელობას, რეკრეაციას, მეცნიერებას, ტექნოლოგიებს).

აპლიკანტთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით ტესტირება ორივე საგანში ჩატარდება ერთი და იმავე დღეს და საათზე ექვსივე ქვეყნის სპეციალურად შერჩეულ, აკრედიტებულ საგამოცდო ცენტრებში.

გასაუბრება:

წერითი ტესტების შედეგების საფუძველზე, წარმატებულ აპლიკანტებს ჩაუტარდებათ ზეპირი გასაუბრება. იმ აპლიკანტებს რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან გასაუბრება ჩაუტარდებათ Skype-ით. გასაუბრება წარმატებული აპლიკანტების შერჩევის მესამე და საბოლოო ეტაპია.

გასაუბრებისას ფასდება მოსწავლის პროგრამაზე დასაშვებად მზადყოფნის შემდეგი ელემენტები:

- გახსნილობა ახალი სასწავლო გამოცდილების მისაღებად და სხვადასხვა კულტურების გასაცნობად;
- მზაობა საერთო საცხორებელში ცხოვრებისათვის სახლიდან მოშორებით;
- ცნობისმოყვარეობა და მოტივაცია;
- აპლიკანტისთვის საინტერესო სასწავლი საგნები
- აპლიკანტისთვის საინტერესო უნარები, მათ შორის ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარი;
- სოციალური კომპეტენცია და აქტიური ჩართულობა კლასგარეშე აქტივობებში (სპორტი, კლუბები, კონკურსები და ა.შ.).

გასაუბრებები „ახალი სკოლის" თანამშრომლებთან დაგეგმილია 2019 წლის აპრილში.

ინტერვიუების ფარგლებში, მიმღები კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მოსწავლეთა მოტივაციას, მათ მზაობას გაეცნონ და მიიღონ სხვა კულტურები და მათ დაინტერესებას ევროპის საქმეებით.

2019-2020 აკადემიური წლისთვის გამარჯვებული სტიპენდიანტების გვარები გამოცხადდება 2019 წლის მაისის მეორე ნახევარში.

განაცხადების მიღების პროცესი სასტიპენდიო პროგრამაში მოსახვედრად უფასოა. ამასთან, სამოგზაურო ხარჯები ტესტირების ცენტრებამდე მისასვლელად უნდა იქნეს დაფარული თავად აპლიკანტების მიერ და არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

APPLY NOW!

info

დამატებითი ინფორმაციისთვის განაცხადების მიღების პროცესში მოგვწერეთ:

euscholarship@eapeuropeanschool.eu
ან დაგვირეკეთ ტელ.:

+ 995 32 225 70 06 (ოფისი)
+ 995 599 25 17 17 (მობილური)

Supported by
the European Union

EaP | Eastern Partnership

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის საშუალო განათლების 2019-2020 წწ. სასტიპენდიო პროგრამა

საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის (IB) დიპლომი
სადიპლომო პროგრამა ევროპათმცოდნეობის
განხრით „ახალ სკოლაში" თბილისი, საქართველო

მოსწავლეების განაცხადები მიიღება
აზერბაიჯანიდან · ბელორუსიდან · მოლდოვის რესპუბლიკიდან
საქართველოდან · სომხეთიდან და უკრაინიდან

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა:
2019 წლის 1 მარტი, 12:00 სთ საქართველოს დროით
(შუადღე, UTC+4.00)

Supported by the European Union

New School
International School of Georgia

UNOPS
Implementing partner

რა არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის სასტიპენდიო პროგრამის მიზანი?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სასტიპენდიო პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომის მიღებას, რაც ახალგაზრდებისთვის აზერბაიჯანიდან, ბელორუსიიდან, მოლდოვის რესპუბლიკიდან, საქართველოდან, სომხეთიდან და უკრაინიდან გამორჩეული საგანმანათლებლო შესაძლებლობაა.

რა არის ევროპათმცოდნეობის საკითხებზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომი?

პროგრამა მოსწავლეებს სთავაზობს საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის ყოვლისმომცველ და სრულყოფილ ორწლიან აკადემიურ კურსს კომბინირებულს ევროპის შესახებ სხვადასხვა საკითხების შესწავლის უნიკალურ შესაძლებლობასთან. ევროპული სკოლების გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის კურსები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროპული ბაკალავრიატის (EB) პროგრამებთან, რომლებიც ზუსტადაა შეხამებული ევროპულ თვალთახედვასთან. სწავლის, ესეებზე მუშაობის და სხვა სასწავლო აქტივობების განხორციელების პროცესში მოსწავლეებს დამატებით მიეცემათ საშუალება ჩაერთონ ევროპის შესახებ სხვადასხვა თემებისა და საკითხების კვლევებში.

რა არის საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამის კონცეფცია?

საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ფონდს რომლის სლოგანია ,,შევქმნათ უკეთესი მსოფლიო განათლების საშუალებით.'' საერთაშორისო ბაკალავრიატი გვთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას ორიენტირებულს იმაზე რომ მოსწავლეებმა იმოქმედონ ეთიკურად და იაზროვნონ ლოგიკურად, კრიტიკულად და დამოუკიდებლად. იგი მოსწავლეებს მთელ მსოფლიოში სთავაზობს ინტერნაციონალურ და მულტიკულტურულ საგანმანათლებლო გარემოს და ამზადებს მათ დღევანდელი გლობალიზებური სამყაროს გამოწვევებთან შესახვედრად. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) საგანმანათლებლო ფილოსოფია შესაბამისობაშია ევროპული ბაკალავრიატის (EB) პროგრამის პრინციპებსა და მიზნებთან.

მიენიჭებათ თუ არა საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომის მქონე მოსწავლეებს უპირატესობა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში?

საერთაშორისო ბაკალავრიატის დიპლომს ცნობს 75 ქვეყნის 2000 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტების ჩამონათვალი განთავსებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის ორგანიზაციის ვებგვერდზე (www.ibo.org). მთელი რიგი უნივერსიტეტებისა სხვადასხვა პირობებით სთავაზობს სტიპენდიებს ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს. სადიპლომო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დიპლომები წარუდგინონ განათლების სამინისტროებს თავიანთ ქვეყნებში რათა მიიღონ სკოლის დამთავრების ეკვივალენტური ოფიციალური დოკუმენტი.

ვინ ახორციელებს საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას?

საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას ახორციელებს "ახალი სკოლა" თბილისში, (საქართველო), სკოლა ავტორიზებულია საერთაშორისო ბაკალავრიატის მიერ 2010 წელს. "ახალ სკოლას" მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში მრავალენოვან და მულტიკულტურულ განათლების დანერგვასა და მრავალი ადგილობრივი და უცხოელი კურსდამთავრებულის წარმატებულ კარიერაში. ბოლო პერიოდში, „ახალმა სკოლამ" ასევე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ევროპათმცოდნეობაზე ფოკუსირებული საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამით სწავლებაში და სექტემბრიდან სტუდენტთა ახალ ნაკადს საკუთარ გამოცდილებას მეტი შემართებით გაუზიარებს.

რომელი კლასგარეშე აქტივობებია გათვალისწინებული „ახალ სკოლაში"?

კლასგარეშე აქტივობები კიდევ უფრო აღრმავებს მოსწავლეთა ევროპულ თვალთახედვას, აძლევს მათ საშუალებას დაესწრონ კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებსაც ჩაატარებენ ევროკავშირის მიერ მოწვეული მეცნიერები და უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი პირები. დაგეგმილია მოსწავლეთა სამუშაო ვიზიტები ევროპულ ინსტიტუციებში, რაც გაამყარებს მათ ცოდნას ევროპისა და ევროპის ხალხების შესახებ. ამ ორი წლის მანძილზე მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ისეთ აქტივობებში და შეჯიბრებებში როგორებიცაა ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ჭადრაკი, მოდელირებული გაეროს კონფერენციები, დრამისა და კულინარიული კლუბები. ყოველ სემესტრში ისინი იმოგზაურებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს მათ გამოცდილებას.

იძლევა თუ არა სასტიპენდიო პროგრამა თანაბარ შესაძლებლობებს ყველა აპლიკანტისთვის?

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და თანაბარი გეოგრაფიული წარმომადგენლობა იმ განაცხადების საფუძვლად რომლებიც იქნება მიღებული. ეს ბალანსი წარმატებულად განხორციელდა აპლიკანტთა პირველი ჯგუფის მიღებისას თითოეული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნიდან. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს რომლებსაც იძულებით ადგილნაცვალ პირთა სტატუსი გააჩნიათ და არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის რომელიმე ქვეყნის მოქალაქენი.

სად იცხოვრებენ მოსწავლეები ორი წლის მანძილზე?

მოსწავლეები იცხოვრებენ მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელში რომელიც ,,ახალი სკოლის'' ტერიტორიაზეა განლაგებული. აქ როგორც მოსწავლეები და ასევე მომსახურე პერსონალი კომფორტულად იცხოვრებს. მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია სამეცადინო და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა. საერთო საცხოვრებლის უფროსი და მენტორთა გუნდი მუდმივად გაუწევს მათ მეთვალყურეობას, უზრუნველყოფს მათთვის კომფორტს, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას.

როგორი პირობებია საერთო საცხოვრებელში?

საერთო საცხოვრებელში თითოეულ ოთახში იცხოვრებს ორი მოსწავლე. ოთახები სრულად არის აღჭურვილი აუცილებელი ავეჯით და სათავსოებით რაც განაპირობებს ოპტიმალურ სასწავლო გარემოს. გარდა ამისა საკვები რომელიც ,,ახალი სკოლის'' კაფეტერიაში მზადდება, უმაღლესი ხარისხის სტანდარტისაა და ახალი პროდუქტებით მზადდება. არის ჯანმრთელი და მრავალფეროვანი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა დიეტური რეკომენდაციები.

წელიწადში რამდენჯერ შეუძლიათ მოსწავლეებს სახლში გამგზავრება?

მოსწავლეებს აქვთ უფლება თავიანთ ქვეყანაში გაემგზავრონ წელიწადში ოთხჯერ (ზამთრის, გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის არდადაგების დროს). ტრანსპორტირების ხარჯები დაფინანსდება პროექტის მიერ.

ექნებათ თუ არა მოსწავლეებს სასწავლო რესურსები?

ყველა სასწავლო რესურსი რომელიც საჭიროა საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამისთვის (მაგ. სპეციალური კალკულატორები) მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ. გარდა ამისა მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემათ პირადი ლეპტოპები, როგორც სკოლაში, ისე სახლში გამოსაყენებლად, აგრეთვე მობილური ტელეფონები სპეციალური საერთო საცხოვრებლის აპლიკაციის გამოსაყენებლად.

რას დაფარავს სამედიცინო დაზღვევა?

მოსწავლეებს ექნებათ სამედიცინო დაზღვევა, რომელიც სრულად ფარავს სამედიცინო ხარჯებს სტომატოლოგიის ჩათვლით. სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალი განახლდება ყოველ წელს.

რა ხარჯები უნდა დაფარონ მოსწავლეებმა?

ძირითად საცხოვრებელ ხარჯებს ფარავს სტიპენდია. მოსწავლეებს შეიძლება მოუწიოს საკუთარი ტანსაცმლის ყიდვა და იმ დამატებით აქტივობებში ფულის გადახდა, რომლებსაც არ ფარავს სტიპენდია.

როგორი დრეს-კოდია სკოლაში?

მოსწავლეებს მოეთხოვებათ ეცვათ მუქი ფერის შარვლები და თეთრი პერანგები ან მუქი ქვედა კაბები.

რა პირადი საბუთები დასჭირდებათ მოსწავლეებს?

სააპლიკაციო პროცესში მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ მშობლის მინდობილობა, დაბადების მოწმობა და წინა წლების ნიშნების ფურცლები თავიანთი სკოლიდან. ნიშნის ფურცლები უნდა იყოს ნათარგმნი ინგლისურად და დამოწმებული ნოტარიულად იმ შემთხვევაში თუ ორიგინალი არ არის ინგლისურ ენაზე. მოსწავლეებმა რომლებიც დაჯილდოვდებიან სტიპენდიით უნდა წარმოადგინონ პასპორტი, დაბადების მოწმობა და ნიშნების ფურცლები.

უფასოა თუ არა ტრანსპორტი თბილისში მოსწავლეთათვის?

სტიპენდიანტი მოსწავლეებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსებით და მეტროთი) მგზავრობა თბილისში არის უფასო.

APPLY NOW!

info

გთხოვთ ეწვიოთ ვებგვერდს
www.eapeuropeanschool.eu
განაცხადების მიღების გამოცხადების დაწყების შესახებ სრული ინფორმაციის მოსაძიებლად და ონლაინ განაცხადების მიღების პროცესის დასასრულებლად.

დამატებითი ინფორმაციისთვის
გთხოვთ დაგვიკავშირდით:
euscholarship@eapeuropeanschool.eu
ან დარეკეთ:

+ 995 32 225 70 06 (ოფისი)
+ 995 599 25 17 17 (მობილური)

Supported by
the European Union